სარჩევი

რა არის ახალი 2

კომპლექტაციის ანგარიშგება 2

კონტრაგენტების ხელშეკრულების ცნობარის ფორმის ცვლილება 3

გეგმიური დარიცხვების ავტომატიზირება 4

ზოგადი აღწერა 4

გეგმიური დარიცხვები: აწყობა და ცხრილის შევსება 4

გეგმიური დარიცხვები: დამუშავების მეშვეობით დოკუმენტების შექმნა 7

გასწორებული შეცდომები 8

სხვა მოდიფიკაციები 9

ბალანსის რელიზი_1.3.2.1

07.10.2022

რა არის ახალი

კომპლექტაციის ანგარიშგება

ბალანსში, საწყობის ჩანართში დაემატა კომპლექტაციის ანგარიშგება. ანგარიშგებაში შესაძლებელია პერიოდის განმავლობაში საწყობში შესრულებული კომპლექტაციებისა და დეკომპლექტაციების შესახებ ინფორმაციის მიღება.

!მნიშვნელოვანია - იმისათვის რომ ანგარიშგებაში გამოვიდეს ინფორმაცია მიმდინარე ვერსიაზე განახლებამდე, ბაზაში გატარებული დოკუმენტებიდან, აუცილებელი ამ დოკუმენტების გადატარება.

ანგარიშგებაში ინფორმაციის გამოსატანად შეიცვალა კომპლექტაციის დოკუმენტი. სპეციფიკაციით შევსების ღილაკის ნაცვლად დაემატა სპეციფიკაციის ველი, რომელიც ავტომატურად ივსება კომპლექტის ძირითადი სპეციფიკაციით. ხოლო ნომენკლატურის ცხრილი ავტომატურად ივსება შევსებულ სპეციფიკაციაში მითითებული მაკომპლექტებლებით. შესაბამისად დოკუმენტში ახლა უკვე შეინახება თუ რომელი სპეციფიკაციით მოხდა კომპლექტაცია/დეკომპლექტაცია.



დოკუმენტი დამატებით ტარდება ახალ რეგისტრში: „კომპლექტაციის თვითღირებულება“. რეგისტრში შეინახება ინფორმაცია კომპლექტის, მაკომპლექტებლის, მათი რაოდენობებისა და ღირებულებების, ასევე კომპლექტაციის ტიპის შესახებ. ანგარიშგებაში ინფორმაცია გამოდის ახალი რეგისტრიდან, შესაბამისად აქაც იგივე ველები გვაქვს. დამატებით კომპლექტის ფილტრით.



ანგარიშგებას აქვს ორი ვარიანტი: კომპლექტაცია და დეკომპლექტაცია. თითოეულ ვარიანტში გამოდის ინფორმაცია მხოლოდ შესაბამისი კომპლექტაციის ტიპით.

ანგარიშგება განთავსებულია საწყობის ჩანართზე და მისი გამოყენება შეუძლია ისეთ მომხმარებლებს რომლებსაც ჩართული აქვთ წვდომა საწყობის ანგარიშგებებზე.

კონტრაგენტების ხელშეკრულების ცნობარის ფორმის ცვლილება

დაიხვეწა კონტრაგენტების ხელშეკრულების ცნობარის ფორმები. ანგარიშსწორების პირობები გაერთიანდა ერთ ცალკე ჩანართზე, ასევე კომენტარის ველი და დამატებითი რეკვიზიტების ველები გადავიდა ცალკე ჩანართზე სახელად „დამატებით“



გეგმიური დარიცხვების ავტომატიზირება

ზოგადი აღწერა

პროგრამა ბალანსს დაემატა გეგმიური დარიცხვების ავტომატიზირების ფუნქციონალი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს რუტინული ფიქსირებული ხარჯებისა და რეალიზაციების დარიცხვების სხვადასხვა კონტრაგენტებზე ერთი ოპერაციის მეშვეობით შექმნას

გეგმიური დარიცხვები: აწყობა და ცხრილის შევსება

იმისათვის რომ მომხმარებელმა შეძლოს ფუნქციონალის გამოყენება ამისათვის საჭიროა, ადმინისტრაციის ჩანართიდან, ანგარიშსწორების მოდულში ჩართული იყოს ოფცია „გეგმიური დარიცხვები“



მას შემდეგ რაც გააქტიურდება ოფცია შესყიდვებსა და გაყიდვების მოდულში დაემატება გეგმიური დარიცხვების ფუნქციონალი სერვისის დაჯგუფებაში. გარდა ამისა მყიდველისა და მომწოდებლის ბარათებზე გამოჩნდება ალამი გეგმიური დარიცხვები.





! იმ შემთხვევაში თუ მყიდველისა და მომწოდებლის ბარათზე ჩართულია ალამი „ხელშეკრულებების მიხედვით“ ამ შემთხვევაში გეგმიური დარიცხვების ალამი გამოდის ხელშეკრულებების ბარათზე.





გეგმიური დარიცხვების შევსებისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ორი მეთოდი:

1. ექსელით ჩატვირთვა
2. შევსების ღილაკი



შევსების ღილაკის მეშვეობით მარტივად შეძლებთ ცხრილის შევსებას.



ილუსტრაცია: 1

1. პერიოდის ველის შევსებისას გაითვალისწინეთ, იმის მიხედვით თუ რა პერიოდულობა გაქვთ არჩეული, პერიოდის საწყისად რა რიცხვსაც აირჩევთ, ყოველ მონაცემს იმ ციფრით შეგივსებთ.

- მაგალითად: გვსურს მონაცემები შევავსოთ ყოველთვიურად თვის ბოლო თარიღით, ამ შემთხვევაში ვირჩევთ პერიოდს შემდეგნაირად:



2. პერიოდულობის ველში შეგიძლიათ აირჩიოთ შემდეგი ტიპები:
    - დღე
    - კვირა
    - დეკადა
    - თვე
    - კვარტალი
    - ნახევარი წელი
    - წელი
3. ნომენკლატურის ველში შეგიძლიათ აირჩიოთ მხოლოდ მომსაურების ტიპის ნომენკლატურა, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს შევსებული შემოსავლების და ხარჯის ანგარიშები
4. იმ შემთხვევაში თუ აღრიცხავთ შემოსავლებს და ხარჯებს, ანალიტიკების ჭრილში ასევე შეგიძლიათ შეავსოთ თქვენი სასურველი შემოსავალ-ხარჯის ანალიტიკა
5. დეპარტამენტის ანალიტიკის ველში კი შესაბამისად სასურველი დეპარტამენტი

6. რაოდენობის ველში შეგიძლიათ მიუთითოთ სასურველი რაოდენობა, თუმცა სტანდარტულად შევსებული დაგხვდებათ „1“
7. თანხის ველში შევასეთ თქვენთვის სასურველი თანხა რომელიც უნდა გავრცელდეს შერეულ პერიოდზე

ილუსტრაცია: 1-ზე შევსებული ინფორმაციის შედეგი გამოიყურება შემდეგნაირად



გეგმიური დარიცხვები: დამუშავების მეშვეობით დოკუმენტების შექმნა

დამუშავება განთავსებულია შესყიდვებისა და გაყიდვების მოდულში, დაჯგუფება „სერვისი“.

დამუშავებას აქვს შემდეგი ფილტრები:

1. პერიოდი
2. მყიდველი
3. მომწოდებელი

პერიოდის (1) და არჩეული კონტრაგენტის (2) მიხედვით შეგიძლიათ გაფილტროთ პროგრამაში დაფიქსირებული გეგმიური დარიცხვების ინფორმაცია და მათ საფუძველზე შექმნათ შესაბამისი დოკუმენტაცია (შესყიდვის ან რეალიზაციის დოკუმენტი)

ცხრილის განსაახლებლად გამოიყენეთ ღილაკი

ხოლო დოკუმენტების შესაქმნელად გამოიყენეთ ღილაკი

დამუშავების მიერ შექმნილ დოკუმენტებს მიყვებათ შემდეგი კომენტარი, მარტივად იდენტიფიცირებისათვის:

„ #შექმნილია ავტომატურად, გეგმიური დარიცხვების დამუშავების დახმარებით “

შევსების ღილაკი გაძლევთ საშუალებას მონიშნული ტრანზაქციების ანალიტიკები (შემოსავლები-ხარჯების, დეპარტამენტის და ფილიალის ანალიტიკები) გადაავსოთ სურვილისამებრ.

დამუშავებაში ასევე შეგხვდებათ , გაცემული ანგარიშ-ფაქტურების და მიღბული ანგარიშ-ფაქტურების ღილაკები, რომელიც გადაგამისამართებთ შესაბამის დამუშავებებზე.



	N	თარიღი	კონტრაგენტი	ხელშეკრულება	ნომენკლატურა	რაოდენობა	ხარჯის ანგარიში	ანალიტიკები	ვალუტა	თანხა	დოკუმენტი	ფილიალი
	100	1/31/2022	შპს მყიდველი	ძირითადი ხელშეკრულება	მომსახურება	1.0000	6110	პროექტი 1 ადმინისტრა...	GEL	1,000.00	რეალიზაცია 61 - 1/31/2022	Main
	101	2/28/2022	შპს მყიდველი	ძირითადი ხელშეკრულება	მომსახურება	1.0000	6110	პროექტი 1 ადმინისტრა...	GEL	1,000.00	რეალიზაცია 62 - 2/28/2022	Main
☑	102	3/31/2022	შპს მყიდველი	ძირითადი ხელშეკრულება	მომსახურება	1.0000	6110	პროექტი 1 ადმინისტრა...	GEL	1,000.00		Main
☐	103	4/30/2022	შპს მყიდველი	ძირითადი ხელშეკრულება	მომსახურება	1.0000	6110	პროექტი 1 ადმინისტრა...	GEL	1,000.00		Main
☐	104	5/31/2022	შპს მყიდველი	ძირითადი ხელშეკრულება	მომსახურება	1.0000	6110	პროექტი 1 ადმინისტრა...	GEL	1,000.00		Main
☐	105	6/30/2022	შპს მყიდველი	ძირითადი ხელშეკრულება	მომსახურება	1.0000	6110	პროექტი 1 ადმინისტრა...	GEL	1,000.00		Main
☐	106	7/31/2022	შპს მყიდველი	ძირითადი ხელშეკრულება	მომსახურება	1.0000	6110	პროექტი 1 ადმინისტრა...	GEL	1,000.00		Main

გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია გაყიდვების დამხმარედან ტერმინალით გადახდის დროს, რეალიზაცია გადახდის დოკუმენტში, ტერმინალზე ბეჭდვის სტატუსის ხარვეზი
- გასწორებულია მინიმალური ნაშთების ანალიზის რეპორტში ცენტრალური საწყობის სწორი ნაშთების წამოღების ხარვეზი
- გასწორებულია შესყიდვის დოკუმენტის გატარებისას ანალიტიკის შევსების ხარვეზი
- გასწორებულია საცალო ინტერფეისიდან გაფორმებულ დოკუმენტებში გადახდის ჩანართზე თანხების ხარვეზი
- გასწორებულია ფილიალებით აღრიცხვის დროს კრედიტ ლიმიტების გათვალისწინების ხარვეზი
- გასწორებულია მიწოდება კომპენსაციის გარეშე დოკუმენტში ზედნადების სინქრონიზაციის ხარვეზი
- შეიზღუდა ერთი და იგივე დოკუმენტის ერთმანეთზე მიბმა ინვოისების გადაფარვის დამუშავებაში.
- გასწორებულია დამატებითი ხარჯის გადანაწილებაში ხარჯის თანხის გამოთვლის ხარვეზი

სხვა მოდიფიკაციები

- მიღებული სასაქონლო ზედნადებების დამუშავებაში საწყობის მითითების ღილაკი გადმოვიტანეთ ზედნადებების სიაში (პირველ გვერდზე).
- როდესაც ნაშთების კონტროლი ამორთულია, შესაძლებელი გახდა საჩუქრის გადაცემა მიუხედავად იმისა ნაშთში არის თუ არა ეს საჩუქარი
- ბანკთან ინტეგრაციის ფუნქციონალის დახვეწა არარეზიდენტი მომწოდებლის დროს
- გაცემული ზედნადების ჩამოტვირთვის დამხმარეში მისამართის გამოტანისა და საწყობის შევსების შესაძლებლობა
- შესაძლებელი გახდა ბრუნვით უწყისში ანგარიშების დამატებითი რეკვიზიტების გამოტანა
- გაყიდვების დამხმარეში დაემატა ,,შერჩევა''ღილაკი